ოქმი №7

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2026 წლის 22 აპრილს.

სხდომა დაიწყო 11:30 საათზე, დამთავრდა 11:50 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. შომახია, ე. ოდიშარია, ბ. კალანდარიშვილი, ზ. ყურაშვილი, ბ. შარტავა, ვ. ჩიქობავა, მ. ნანეიშვილი, ნ. ხუხუნი, ვ. კირცხალია.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: ე. ბერაია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - მ. გვიჩია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. შომახია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკში უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

3. სენაკის მუნიციპალიტეტის ქალაქ სენაკში, მშვიდობის ქუჩის III შესახვევის სახელის გადარქმევის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში“.

აზრი გამოთქვეს: ბ. კალანდარიშვილმა, ვ. ჩიქობავამ, გ. შომახიამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს **დ ა დ ე ბ ი თ ა დ.**

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წლეს გაწეული საქმიანობის შეფასების თაობაზე", რათა წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკში უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2026 წლის 20 აპრილს შემოსული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილება - ქალაქ სენაკში, მშვიდობის ქუჩის III შესახვევს შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს გაგრის ქუჩა. .

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკში უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე, რათა წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 3. სენაკის მუნიციპალიტეტის ქალაქ სენაკში, მშვიდობის ქუჩის III შესახვევის სახელის გადარქმევის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2026 წლის 20 აპრილს შემოსული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილება - სენაკის მუნიციპალიტეტის ქალაქ სენაკში, მშვიდობის ქუჩის III შესახვევის სახელის გადარქმევის თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის ქალაქ სენაკში, მშვიდობის ქუჩის III შესახვევის სახელის გადარქმევის თაობაზე, რათა წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი შომახია